სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 01-04/60 2.09. 2021 წ.

2021-2022 სასწავლო წლისათვის სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესი

1. კონკურსანტთა რეგისტრაცია

1.1. დოქტორანტურაში სწავლების უფლება აქვს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების სურვილის შესახებ, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

ა. განმცხადებლის ავტობიოგრაფია (CV):

ბ. 2 ფოტოსურათი ზომებით 3×4;

გ. პირადობის მოწმობის ასლი (წარმოდგენილი უნდა იქნას დედანთან ერთად);

დ. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი, დამოწმებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აპოსტილით. აპოსტიკლით დამოწმებული დიპლომის არქონის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველმა უნდა წარმოადგინოს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა. საბუთების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში დოქტორანტურაში ჩარიცხულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აპოსტიკლით დამოწმებული დიპლომი, წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტს შეუჩერდება სტატუსი;

ე. ნიშნების ფურცელი;

ვ. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაცია;

ზ. რეფერატი ან პუბლიკაცია, რომელიც სამეცნიერო ხელმძღვანელის ნებართვით შეიძლება ჩაითვალოს რეფერატად;

თ. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი, მისივე დედნის წარდგენით

ი. 40 ლარის გადახდის ქვითარი.

2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაცია

2.1. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ჩატარების მიზნით, შეიქმნას საუნივერსიტეტო კომისია საფაკულტეტო ქვეკომისიებით, რომლებიც შედგებიან საგნობრივი ჯგუფებისაგან.

2.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთათვის გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს საუნივერსიტეტო საგამოცდო სექტორს.

2.3 კონკურსს ატარებს რექტორის მიერ შექმნილი საუნივერსიტეტო კომისია.

3.დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ჩატარების ფორმა

3.1. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია ორი გამოცდის ჩაბარება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენა).

3.2. გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიები.

3.3. უცხო ენაში გამოცდის ტესტი არის B2 დონის. უცხო ენის გამოცდა ჩატარდეს პერსონალურ კომპიუტერთან Online რეჟიმში.

3.4. B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე კონკურსანტები თავისუფლდებიან უცხო ენაში მისაღები გამოცდებისაგან.

3.5. დოქტორანტურაში სპეციალობის მისაღები გამოცდა ჩატარდეს წერა-ზეპირის ფორმით.

3.6. სპეციალობის მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორის მიერ იქმნება კომისიები, რომლებაც უნდა წარმოადგინონ საგამოცდო ბილეთები შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა. კონკრეტულ საგანში ბილეთების რაოდენობა უნდა იქნას არანაკლებ 20 - სა.

ბ. კონკრეტულ ბილეთში საკითხების რაოდენობა უნდა იქნას არანაკლებ 3- სა.

3.7. წარმოდგენილ ბილეთზე ხელს აწერენ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი და მოწმდება ფაკულტეტის ბეჭედით.

3.8.დოქტორანტურის განყოფილებას დაევალოს უნივერსიტეტის ბეჭედდასმული საგამოცდო ფურცლების შესაბამისი რაოდენობით საგამოცდო კომისიების უზრუნველყოფა.

3.9. კონკურსანტის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

4. სპეციალობაში მისაღები გამოცდის მიმდინარეობა:

4.1. გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე კონკურსანტები გადიან რეგისტრაციას, რეგისტრაციის გასავლელად რეგისტრატორებს წარუდგენენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

4.2. კონკურსანტი ვალდებულია:

ა) დაუგვინებლად გამოცხადდეს გამოცდაზე. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების (რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ) კონკურსანტი გამოცდაზე არ დაიშვება;

ბ) თან იქონიოს პირადობის მოწმობა;

გ) გამოცდის დამთავრების შემდეგ საგამოცდო დავალების ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ უწყისში;

დ) შეასრულოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და გამოცდის დამკვირვებლის ცალკეული მითითებანი.

4.3. გამოცდის მსვლელობისას კონკურსანტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრული აპარატურის ქონა;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების და სხვა გამოყენება;

გ) საგამოცდო დავალების ფურცელზე ან საგამოცდო ნაშრომზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების

(ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან;

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა კონკურსანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად.

4.4.ნაშრომი, რომლის შესრულებისას გამოყენებული იქნება განსხვავებული ფერის მელანი ან რომელის შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან არ გასწორდება

4.5. ჩაბარებული საგამოცდო ნამუშევრები გადაეცემა აწსუ საგამოცდო სექტორის ხელმძღვანელს.

5. სპეციალობაში კონკურსანტთა ნაშრომების გასწორება

5.1. საგამოცდო ნაშრომები კოდირების შემდეგ რეგისტრირდება და გამსწორებელთა საგამოცდო კომისიებში ნაწილდება აწსუ საგამოცდო სექტორის მიერ.

5.2. ნაშრომი, რომელიც შესრულებულია განსხვავებული ფერის მელნით ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის გრაფიკულ გამოსახულებას (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან, არ ექვემდებარება გასწორებას ფასდება ნული ქულით.

6. მინიმალური კომპენტენციის ზღვარი

6.1. მინიმალური კომპენტენციის ზღვარი უცხო ენაში განისაზღვრება 51 ქულით, ხოლო სპეციალობაში 71 ქულით.

7. კონკურსანტთა რანჟირება და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვა

7.1. უცხო ენასა და სპეციალობის გამოცდაზე მიღებული შეფასებების ჯამური ქულების მიხედვით თითოეული სადოქტორო პროგრამისათვის შედგეს მინიმალური კომპენტენციის ზღვარგადალახულ კონკურსანტთა რანჟირებული სია, სიაში კონკურსანტები დალაგდნენ შეფასებების კლებადობის მიხედვით

7.2. კონკურსანტები, რომელთა რიგითი ნომრები კონკურსანტთა რანჟირებულ სიებში არ აღემატება შესაბამისი სადოქტორო პროგრამისათვის განსაზღვრული საკონკურსო ადგილების რაოდენობას, სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე რექტორის ბრძანებით ჩაირიცხებიან უნივერსიტეტის დოქტორანტურაში.

7.3. ჯამური ქულების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს სპეციალობის გამოცდაში მიღებულ ქულას.

7.4. ჯამური ქულების და სპეციალობის გამოცდაში მიღებული ქულის თანაბრობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს შესამამისი ფაკულტეტის საბჭო.

8. დოქტორანტურაში სწავლის საფასური

8.1. დოქტორანტურაში სწავლის საფასური განისაზღვროს 2750 (ორიათასშვიდას ორმოცდაათი) ლარით წელიწადში.

9. საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტის გაცემის პირობები, ოდენობა და დაფინანსების წყაროები

9.1. დაფინანსდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა არაუმეტეს 40% - ისა თითოეულ ფაკულტეტზე.

9.2. დაფინანსებულ პირთა 30%-ს თითოეულ ფაკულტეტზე უნდა შეადგენდნენ ის პირები, რომელთაც სპეციალობის გამოცდაში დააგროვეს არანაკლებ 81 ქულისა, ხოლო უცხო ენის გამოცდაში კი არანაკლებ 61 ქულისა.

9.3. ფაკულტეტი უფლებამოსილია განიხილოს დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა მიზნობრივი დაფინანსების საკითხი, მაგრამ ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების არაუმეტეს 10%-სა. დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე, რომელიც წარუდგება რექტორს.

9.4. საფაკულტეტო დაფინანსების ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება და დეპარტამენტების შემადგენლობების სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

9.5. დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა დაფინანსების საკითხი განხილული იქნას ფაკულტეტების საბჭოების სხდომებზე. საბჭოს სხდომის თარიღის შესახებ ინფორმირებულ იქნას შესაბამისი ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა პირი, ფაკულტეტზე მოქმედი ყველა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა ყველა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი.

9.6. ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილება ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9.7. 9.3 და 9.6 მუხლებით წარდგენილ ინფორმაციის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ჩარიცხვისა და მათი დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

რექტორი **პროფ. როლანდ კოპალიანი**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი პროფ. იმერ ბასილაძე